




სოფლის მეურნეობის
სამსახური-კვლევითი ცენტრი

ვიბრიდული სიმინდის (F1 თაობა) მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგია



ფარმარებისათვის
თარიღის 2018

შესავალი

სიმინდი მსოფლიო მიწათმოქმედებაში წამყვანი სამარცვლე და საკეთები კულტურაა. სიმინდის ნათესი ფართობი მსოფლიოში 110 მილიონ ჰექტარს აღწევს. მარცვლოვან კულტურათა შორის მას მსოფლიოში ნათესი ფართობის მიხედვით მესამე(ხორბლის და ბრინჯის შემდეგ) და მოსავლიანობით პირველი ადგილი უკავია. საქართველოში სიმინდს ყველაზე დიდი ფართობი უკავია, დაახლოებთ 150 ათასი ჰა. მისი ნათესების დიდი ნაწილი განლებულია დასავლეთ საქართველოში, სადაც სიმინდი ძირითადი მარცვლეული კულტურაა, რომელიც გამოიყენება როგორც სასურსათედ, ისე საფურაჟედ მეცხოველეობაში. აღმოსავლეთ საქართველოში ეგრეთწოდებულ „მეხორბლეობის რაიონებში“ სიმინდი ითესება 30 ათას ჰექტარზე. სამწუხაროდ 2015 წლის საქსტატის მონაცემებით საქართველოში სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა კატასტროფულად დაბალია და იგი 1.4 ტ/ჰა-არ აღემატება. სიმინდის მოსავლიანობის გაზრდა საქართველოსათვის პირველხარისხოვანი საკითხია, რადგან ამ პრობლემის მოგვარებაზე დიდადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარება, რაც თავისთავად დადებითად აისახება როგორც ქვეყნის, ასევე მარცვლეულის მნარმოებელი ფერმერების ეკონომიკაზე. თანამედროვე მსოფლიოში სიმინდის სელექცია ორიენტირებულია ჰეტეროზისის მოვლენის გამოყენებაზე ანუ ჰიბრიდული სიმინდის წარმოებელი ფერმერების სელექციაზე, როთაც მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც სიმინდის მოსავლიანობა, ისე ჰიბრიდული სიმინდით ნათესი ფართობები. ჰიბრიდული სიმინდი

ესაა ორგანიზმი, რომელიც მიღებულია გენეტიკურად განსხვავებული მშობლების შეჯვარების შედეგად, რომელიც მშობელ ფორმებთან შედარებით პირველ თაობაში ხასიათდება მცენარის სიმძლავრის გაზრდით, სიცოცხლისუნარიანობის გადიდებით, პროდუქტულობის ამაღლებით ანუ ჰეტეროზისით (ჰიბრიდული ძალა). ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის მონინავე ქვეყნებში ჰიბრიდული ნათესი ფართობები სწრაფად გაიზარდა, რაც დღეისათვის პრაქტიკულად 100% -ს შეადგენს.

საქართველოშიც სიმინდის მოსავლიანობის ამაღლების ძირითადი რეზერვია მაღალმოსავლიანი ჰიბრიდული გამოყვანა და წარმოებაში დანერვა, მათი მაღალხარიზიანი თესლით თესვა და სიმინდის მოვლა-მოყვანის მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიების გამოყენება. **ჰიბრიდული სიმინდის უპირატესობებები:** 1. ჰიბრიდული სიმინდი ხასიათდება მაღალმოსავლიანობით; 2. აქვს წვრილი და გამძლე ლერო; 3. ლეროზე ტაროები ყალიბდება ერთ სიმაღლეზე და მოსახერხებელია მექანიზებული უდანაკარგო აღება-სათვის; 4. ადვილად იტანს ხშირ ნათესს (მცენარეთა შორის მანძილი 22-28 სმ), რაც უკეთესად მოქმედებს სარეველების წინააღმდეგ; 5. ჰიბრიდული სიმინდის მცენარე, მარცვლის შემოსვლის დროს, ინარჩუნებს მწვანე შეფერვას და იძლევა მეცხოველეობისათვის მაღალი ხარისხის საკვებ და სასენაჟე მასას; 6. ჰიბრიდული ფორმები სანყის ეტაპზე ხასიათდება სწრაფი ზრდით, რაც საშუალებას აძლევს დათრგუნოს სარეველების გავლენა; 7. ჰიბრიდულ ფორმები ხასიათდებიან ჯიშებთან შედარებით მოკლე სავეგ-ეტაციო პერიოდით. 8. ხელსაყრელნი

არიან მოვლა-მოყვანის მექანიზაციი-ისთვის.

ახალი ჰიბრიდურის გამოყენებით საშუალო მოსავლიანობა შეოფლი-ოში 42%-ით არის გაზრდილი, რაც ჰექტარზე 9.3 ტონას შეადგენს(აშშ). თუმცა სიმინდის პროდუქტიულო-ბის პოტენციალური რეზერვები ჯერ კიდევ არაა ამონურული და მაღალ აგროტექნიკურ ფინანსების შეიძლება 31 ტონამდე გაიზარდოს.

ყურადღება! არ არის მიზანშე-წონილი ჰიბრიდული სიმინდის გან-მეორებით სათესლედ გამოყენება; ამ დროს მოსავალი 10-15 % -ით მც-ირდება.

სიმინდის ადგილი თესლბრუნვაში. სიმინდი სხვა მარცვლეულ კულ-ტურებთან შედარებით უფრო ეგ-უება ერთსა და იმავე ნაკვეთზე ზე-დიზედ თესვას, რადგან როგორც სათოხნი კულტურა, შესაფერისი მოვლის პირობებში, ამცირებს მინდ-ვრის დასარევლიანებას. მაგრამ ერთსა და იმავე ადგილზე თესვისას სიმინდი უფრო ნაკლებ მოსავალს იძლევა, ვიდრე თესლბრუნვაში. ამის მიზეზია მინდორზე სოკოვანი დაავადების და მავნებლების მასობრივად გამრავლება, ნიადაგის აზოტის შენაერთებით გაღარიბება, ნიადაგის სტრუქტურის, წყლისა და საკვები ნივთიერებებით უზრუნვე-ლყოფის რეზიმის გაუარესება.

აღმოსავლეთ საქართველოში სიმ-ინდისთვის სასურველი წინამორბე-დია: თავთავიანი კულტურების ნაწვერალი, მრავალწლიანი ბა-ლახების კორდი და სანაწვერალო კულტურები.

დასავლეთ საქართველოს დაბლობ-

ში, სადაც არც თავთავიანი პურეული და არც ბალჩეული კულტურები არ ითესება, სიმინდი უნდა მოთავს-დეს ნათესი ბალახების მინდვრის მოხვნის პირველ წელს და შემდეგ 4-5 წლის განმავლობაში ზედიზედ უნდა დაითესოს ლობიოს და სოიოს შეთესვის მორიგეობით. დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში, სა-დაც საზამთრო და ნესვი მოჰყავთ, ნათესი ბალახების მოყვანის პირველ წელს უმჯობესია მოთავსდეს საზამ-თრო ნესვი, გოგრა და შემდეგ წელს სიმინდი. ხოლო, დასავლეთ საქართ-ველოს იმ ფართობებზე სადაც ხორ-ბალი და ქერი ითესება, ბალახების კორდის მოხვნის პირველ წელს ხორ-ბალი უნდა დაითესოს, შემდეგ ნახ-ორბლარი უნდა დაიკავოს სიმინდმა.

ფერდობებზე, როგორც თესლბრუნ-ვის სისტემა, ისე თესლბრუნვის მინდვრების მონიკობა უნდა ითვალ-ისწინებდეს ეროზის საწინააღმ-დევო ღონისძიებების გატარებას.

ნიადაგის დამუშავება. ჰიბრიდუ-ლი სიმინდის მოსავლიანობის გა-დიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის დამუშავებას. ამ ღონისძიებამ უნდა უზრუნველყოს: ალადგინოს კოშოვანი სტრუქ-ტურა, ხელი შეუწყოს წყლისა და საკვების მომარაგებას, განმინდოს ნაკვეთი სარეველებისაგან. ნიადა-გის დამუშავების სისტემა შეფარდე-ბული უნდა იყოს ადგილობრივ პირობებთან: კლიმატთან, რელიეფ-თან, ნიადაგის ტიპთან და თესლ-ბრუნვასთან.

სიმინდისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მზრალად, ზა-მთარში ხვნას, რადგან საგაზაფ-ხულო ხვნა ვერ ასრულებს ნიადა-გის ძირითადი დამუშავებების წინაშე

დასახულ ამოცანებს. არ უმჯობეს-დება ტენიანობის რეჟიმი, სარეველების ნინაღმდეგ ბრძოლა სათანადოდ ვერ სრულდება, თესვამდე ნიადაგი ვერ ასწრებს მომწიფებას - გაფხვიერებას, ტენით მომარაგებას და მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობის გაძლიერებას.

მზრალად დამუშავების სისტემა ერთმანეთთან დაკავშირებული ორი ონინისძიებისაგან შედგება. ნაწვერალის აჩერვა და მზრალად ხვნა. ნაწვერალის აჩერვა ნინამორბედის მოსავლის აღებისთანავე უნდა ჩატარდეს 4-8 სმ სიღრმეზე, ეს ხელს უწყობს როგორც სარეველების მოსპობას, ისე ნიადაგის თვისებების გაუმჯობესებას. ამავე დროს აჩერვას დიდი მნიშვნელობა აქვს მზრალად ხვნის ხარისხიანად ჩატარებისთვის. ნაწვერალის აჩერვის შემდეგ კლიმატურ ჰირობებთან შეფარდებით უნდა ჩატარდეს მზრალად ხვნა 22-25 სმ-ზე. მზრალის თესვისნინა დამუშავების სისტემა გულისხმობს მზრალის დამუშავებას ადრე გაზაფხულიდან თესვამდე. ადრე გაზაფხულზე უნდა დაიფარცხოს კბილებანი ფარცხით ხნულის გარდიგარდმო. თუ ხნულზე სარეველები განვითარდა, ან ნიადაგმა პირი ნაიკრა, დაუყონებლივ უნდა ჩატარდეს კულტივაცია ან აოშვა 10-12 სმ-ზე თანმიგოლებული ფარცხით. ჰიბრიდული სიმინდისთვის საუკეთესო პირობები იქმნება ისეთ მზრალზე, რომელიც ადრე გაზაფხულზე დაიფარცხა და თესვის წინ დამუშავდა კულტივატორით. ასეთი დამუშავება უზრუნველყოფს სარეველების მოსპობას და ტენის შენარჩუნებას.

რაც არ უნდა მცირე ქანობის იყოს ფერდობი, მასზე ხვნა აუცილებლად გარდიგარდმო უნდა ჩატარდეს. თუ ეს პირობა დაცულია, მაშინ შესაფ-

ერისად შერჩეულ ნაკვეთებზე მზრალი დასავლეთ საქართველოშიც არანაკლებ ეფექტს იძლევა. ძლიერ დაქანებულ ფერდობზე ან ჭარბტენიან ფართობზე მზრალად ხვნა სასურველ შედეგს არ იძლევა. ასეთი ნაკვეთები გაზაფხულზე, რაც შეიძლება ადრე უნდა მოიხსნას. დასაცალეთ საქართველოში ნაიმინდარი საჭიროა მოიხსნას არა შემოდგომაზე, არამედ ზამთარში ამინდის პირობების მიხედვით.

ჰიბრიდული სიმინდის განოყიერება. ორგანულ - მინერალური სისტემა სიმინდის განოყიერების საუკეთესო საშუალებაა ასეთ შემთხვევაში ერთდროულად გამოიყენება სხვადასხვა ორგანული და მინერალური სასუქი. სიმინდის გასანოყიერებლად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული საშუალება: ნაკელი, მწვანე სასუქი, მინერალური სასუქი, ხოლო მჟავე ნიადაგებზე - აგრეთვე კირი, ტკილი, დეფეკაციური ტალახი და კირის შემცველი სხვა სასუქები. ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით ჰექტარზე ნაკელი შეაქვთ 20-30 ტონა 3-4 წელიწადში ერთხელ. ამ შემთხვევაში მინერალური სასუქების დოზები უნდა შემცირდეს ნაკელში საკვები ელემენტების შემცველობის შესაბამისად.

ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში შეაქვთ ხვნის წინ. რაც შეეხება აზოტიან სასუქებს, აღმოსავლეთ საქართველოში მისი ნორმის 30-35% შეაქვთ თესვის წინ, დანარჩენი გამოკვებაში სიმინდის ნათესის მეორე კულტივაციის წინ, ხოლო დასავლეთ საქართველოში დოზის ნახევარი პირველი კულტივაციის და მეორე ნახევარი მეორე კულტივაციის წინ. დანაკარგების შემცირების მიზნით სასუქი შეტანისთანავე უნდა ჩატარდეს.

დეს ნიადაგში. სიმინდის ქვეშ ნიადაგში შესატანი მინერალური სასუქების ნორმები მოტანილია ცხრილში 1.

ცხრილი 1

სიმინდის ქვეშ ნიადაგში შესატანი მინერალური სასუქების ნორმები (მინიმალური, მაქსიმალური)

#	სასუქის დასახელება	აღმოსავლეთ საქართველო		დასავლეთ საქართველო	
		მომქმედი ნივთიერება	ფიზიკური ნონა	მომქმედი ნივთიერება	ფიზიკური ნონა
აზოტიანი სასუქები					
1	ამონიუმის გვარუილა N 36%		180-270		270-350
2	სულფატამინუმი N 20%		300-450		450-600
3	ჰარდოვანა N 46%		130-200		195-260
ფოსფორიანი სასუქები		N 60-90 P 60-90 K 30-45		N 90-120 P 90-120 K 45-60	
4	სუპერფოსფატი ოხვინლისებრი P18%		330-500		500-660
5	სუპერფოსფატი გრანულები P 20%		300-450		450-600
6	ორმაგი სუპერფოსფატი P 45%		130-200		200-260
7	სამრავი სუპერფოსფატი P 54%		110-165		165-220
კალიუმიანი სასუქი					
8	კალიუმის მარილი		75-110		110-150
რთული სასუქები					
9	დიამოფისკა N10 P16 K16		230-345		345-460
10	ნიტროამოფისკა N16 P16 K16		375-560		560-750

ყურადღება! ჰიბრიდული სიმინდი მაღალპროდუქტიულობით ხასიათდება და აუცილებელია მაღალი აგროფონის შექმნა, სასურველია გამოვიყენოთ სასუქების გადიდებული ნორმები.

თესლის მომზადება და თესვა. ჰიბრიდი უნდა დაითესოს პირველი კლასის თსლით. სათესლედ შერჩეული უნდა იქნას ჰიბრიდისათვის შერჩეული სალი, ტიპიური ტაროები და თესვამდე 30-35 დღით ადრე დაიფენის, გაინმინდოს და დახარისხდეს თესლის საწმენდ მანქანაში.

დაავადების საწინააღმდეგოდ თეს-

ვამდე თესლი უნდა შეიწამლოს ერთ-ერთი რომელიმე პრეპარატით (ფუნგიციდით): რაქსილი, ვიტავაქ-სი-200 და სხვა. პრეპარატის ხარჯვის ნორმაა 2 კგ. ერთ ტონა თესლზე. შეწამლვა უნდა ჩატარდეს წყლის სუსპენზიით, რისთვისაც 2 კგ პრეპარატი უნდა გაიხსნას 10 ლიტრ წყალში, მოსხურდეს 1 ტონა თესლზე ან დატენიანებით - 10 ლიტრი წყ-

ლით დატენიანდეს 1 ტონა თესლი, მოეპნევა 2 კგ. პრეპარატი და ორივე შემთხვევაში კარგად აირევა ნიჩბით. შენამლული თესლი დათესვამდე უნდა ინახებოდეს იზოლირებულ, მშრალ საცავში. თესვა უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა ნიადაგი თესლის ჩათესვის სიღმეზე 10-12 გრადუსამდე გათბება.

სიმინდი ითესება 70 სმ. მწკრივთშორისებით, პუნქტირული სათესი მანქანით. თესვის დაწყების წინ სათესი

უნდა გავატაროთ მაგარი და სწორი ზედაპირის მოედანზე. გადავთვალოთ გამოთესილი მარცვლების რაოდენობა 14.3 გრძივ მეტრზე, ან გავზომოთ მანძილი მწკრივში მარცვლებს შორის და ცხრილის გამოყენებით (ცხრილი 2) დავადგინოთ სწორად არის თუ არა სათესი დაყენებული გამოთესვის ნორმაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში გამომთესი დისკების და გადამცემი კბილანების შეცვლით უნდა მივაღწიოთ სასურველ შედეგს.

ცხრილი 2

ჰიბრიდული სიმინდის თესვის აგროტექნიკური მოთხოვნები

ჰიბრიდი	დასათესი მარცვლების რაოდენობა, ათასი/ჰა.	მცენარეთა რაოდენობა მოსავლის აღების დროს ათასი/ჰა.	მარცვლებს შორის მანძილი თესვის დროს, სმ.	მცენარეებს შორის მანძილი მოსავლის აღების დროს, სმ.	მარცვლების რაოდენობა 10 კვ.მეტრზე (14.3 გრ. მეტრი).	მცენარეების რაოდენობა 10 კვ.მეტრზე (14.3 გრ. მეტრი). მოსავლის აღების დროს, ცალი
წეროვანი 1						
წეროვანი 3						
ყაზბეგი						
წილკანი 1	70-72	50-55	21-20	28-26	70-72	50-55
საბა						
კახურა						
წეროვანი 2						
წილკანი 2	76-78	55-60	20-19	26-24	76-78	55-60
ქართული 9	75-80	60-65	19-18	24-22	75-80	60-65

თესლის ჩათესვის სიღრმე უნდა იცვლებოდეს ნიადაგის მექანიკური შედეგენილობისა და ტენიანობის გათვალისწინებით. ტენიან და მძიმე ნიადაგებში თესლი უნდა ჩაითესოს

4-6 სმ. სიღრმეზე, ხოლო მსუბუქ, მშრალ ნიადაგებში 7-8 სმ-ზე.

ნათესის მოვლა. აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ნათესი უნდა მოიტკეპნოს ნაჭდევებიანი საგო-

რავით. მოსული ნალექების შდეგად ნიადაგის ზედაპირზე ქერქის ნარმოქმნის შემთხვევაში ნათესი სიმინდის აღმოცენებამდე 3-4 დღით ადრე უნდა დაიფარცხოს მსუბუქი ფარცხით ნათესის გარდიგარდმო მიმართულებით. მეორე დაფარცხვა უნდა ჩატარდეს სიმინდის მცენარის 3-4 ფოთლის ფაზაში. ამ დროს დაფარცხვა აუმჯობესებს ნიადაგის აერაციას, სპობს ახლად აღმოცენებულ და აღმოცენების პროცესში მყოფ სარეველებს, ხელს უწყობს ნიადაგში ტენის შენარჩუნებას, ასწორებს ნიადაგის ზედაპირს, რაც აადვილებს ნათესის კულტივაციას. მეორე დაფარცხვა ტარდება დღის მეორე ნახევარში, როცა სიმინდის მცენარები ნაკლებად მტკრევადი ხდება.

მწკრივთაშორისების პირველი კულტივაცია უნდა ჩატარდეს სიმინდის მცენარის 3-4 ფოთლის ფაზაში, მეორე კულტივაცია ტარდება პირველი კულტივაციიდან 12-15 დღის შემდეგ, რომელსაც უნდა დავუკავშიროთ ნათესის გამოკვება აზოტიანი სასუქით. სარწყავ პირობებში მეორე კულტივაცია უნდა შეიცვალოს მწკრივთაშორისების დაბაძობით, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს ნათესის მორწყვას.

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ მინებზე თუ თესვის დროს ნიადაგი გამომშრლია და ტენი საკმარისი არ არის თესლის აღმოცენებისთვის, დათესვისთანავე უნდა დაიჭრას სარწყავი კვლები და მოირწყას დაუყონებლივ. სარწყავი, დროებითი არხები, ნაკვეთის რელიეფის გათვალისწინებით იჭრება სათესის 3-4 გავლის შემდეგ, მარკერის ხაზზე, სიმინდის სავეგეტაციო მორწყვა ტარდება ამინდის პირობებისა და მცენარის განვითარების ფაზების მიხედვით. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სარწყავ მინებზე სიმ-

ინდი 3-4 მორწყვას საჭიროებს. ერთი მორწყვა როგორც წესი, ტარდება ქოჩოჩის ამოლების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე. უკანასკნელი მორწყვა- რძისებრ სიმწიფის ფაზაში. მორწყვა უნდა ჩატარდეს გაუონვის წესით, ყველა მწკრივთაშორისებში წყლის მიშვებით.

ყურადღება! პიბრიდული სიმინდის მაღალი მოსავლის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ნათესი უზრუნველყოფილია წყლით მთელი ვეგეტაციის პერიოდში.

სარეველებთან ბრძოლა. ერთწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი სარეველების ნინაალმდეგ სიმინდის თესვამდე ან თესვის შემდეგ მის აღმოცენებამდე, უნდა გამოვიყენოთ რომელიმე ერთ-ერთი ნიადაგის ჰერბიციდი: დუალ გოლდი 1.6-2.1 ლ/ჰა; ბრიმექსტრა გოლდი 2-3 ლ/ჸა ნიადაგში ჩატარებით.

ფესურიანი და ფესვთნაყარი სარეველების (შალაფა, ჭანგა და სხვა) ნინაალმდეგ სიმინდის ნინამორბედი კულტურის მოსავლის ალებისთანავე, ნანვერალი უნდა აიჩერის 8-10 სმ. სიღრმეზე და სარეველების 15-20 სმ სიმაღლის ფაზაში (აგვისტო) შესხურდეს რომელიმე ერთ-ერთი მთლიანმომქმედი ჰესტიციდი: რაუნდაპი, კლინი, ნიკდაუნი 3-4 ლ/ჸა; ურაგანი 4-6 ლ/ჸა : ვალსამბა 0.2 ან ვალსაგინაფი 3-5 ლ/ჸა. აღნიშნული ჰესტიციდები ნიადაგის მზრალად მოხვნამდე მოქმედებს არა მარტო სარეველების მინისზედა ორგანოებზე, არამედ სპობს ფესურებსაც.

სიმინდის ნათესში შეიძლება გამოვიყენოთ ჰესტიციდები: ტიტუსი, მაისი - 50 გრ/ჸა-ზე, ან ნიკუში 1-1.5 ლ/ჸა. ეს ჰესტიციდები შტანილი უნდა იქნას სიმინდის მცენარის 3-5 ფოთლის ფაზაში. ისინი მოქმედებენ როგორც ერთწლიან, ისე მრავალწლიან მარ-

ცვლოვან სარეველებზე (შალაფა, ჭანგა, ძურნა, ბურჩხა და სხვა). ნათესში ორლებნიანი სარეველების გავრცელების შემთხვევაში მას უნდა ფაქტურის 2,4-დ ამინის მარილი ან რომელიმე მისი ანალოგი. პესტიციდები უნდა გაიხსნას 200-300 ლ წყალში და შესხურდეს მზიან, წყნარ ამინდში.

მავნებლებისა და დაავადებების ნინააღმდეგ ბრძოლა. სიმინდის ძირითადი მავნებლებია: აზიური ანუ გადამფრენი კალია, მახრა ანუ ბოსტანა, ველის ჭრიჭინა, ქართული ტყაცუნა, სიმინდის ზოზინა, მაისის ლრაჭა, შემოდგომის ნათესის ხვატარი, მდელოს ხვატარი, სიმინდის ჭიჭინობელა, სიმინდის ბენვიანი ბუგრი, ლეროს ფარვანა და ბამბის ხვატარი.

საქართველოში გავრცელებულია სიმინდის შემდეგი დაავადებები: ლეროს სიდამპლე, ფესვის სიდამპლე, ტაროს დიპლოდიოზი, ტაროს ჰიბერულიოზი, მარცვლის ფუზარიზი, ტაროს ნიგროსპორიოზი, ტაროს ნაცრიფერი სიდამპლე, ფოთლის ჩრდილოეთური ჰელმინ-თოსპორიოზი, ფოთლის სამხრეთული ჰელმინთოსპორიოზი, ფოთლის სილაქავე, ბაქტერიული ჭკონბა, რუხი ლაქიანობა, ფოთლის ბაქტერიოზი, ბუმტოვანა გუდაფშუტა და მტვრიანა გუდაფშუტა.

სიმინდის ფარვანას და ბამბის ხვატარის ნინააღმდეგ გამოიყენება ერთ-ერთი შემდეგი პრეპარატებიდან: ალექსანდერი 0.15, დელტა

0.1-0.14, ვალსამბა 0.2-0.4 ლ/ჰა, კარატე ან კარატე ზეონი 0.2 ლ/ჰა - ერთჯერადი შესხურებით ვეგეტაციის პერიოდში. მავთულა ჭიების, ლრაჭების, მახრას და ნემატოდების ნინააღმდეგ იხმარება მარშალი 10 კგ/ჰა ერთჯერადად, თესვის დროს ან მოკაპი 8.4 ლ/ჰა - ნიადაგზე მოსხურებით თესვამდე 3 დღით ადრე, შემდგომი ჩაკეთებით 5-10 სმ სიღრმეზე ისე, რომ არ დაუშვათ თესლთან შეხება.

მოსავლის აღება. სიმინდის მოსავალი უნდა ავიღოთ მაშინ, როცა მარცვალს მიღებული აქვს ჰიბრიდისათვის დამახასიათებელი ფორმა და ფერი. აღება ტარდება კომბაინით ან ხელით. ორივე შემთხვევაში მოსავლის აღება არ უნდა გაჭიანურდეს. ეს უკანასკნელი იწვევს მოსავლის დანაკარგს. მოსავლის აღების დროს სიმინდის მარცვლის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 25 – 30 % -ს. ამიტომ შენახვამდე საჭიროა სიმინდის ტაროების კარგად გამოშრობა. მოსავლის აღების დაწყებამდე უნდა ჩატარდეს სასაწყობო მეურნეობის ნესრიგში მოყვანა და მავნებლების სანინააღმდეგო პრეპარატებით დამუშავება. სასურველია მოსავალი დაიყაროს ბუნებრივ შრობაზე სტელაჟებზე. შრობის შემდეგ, როდესაც მარცვლის ტენიანობა 16 % -ს მიაღწევს უნდა ჩატარდეს მისი დაფშვნა, განიავება და ტომრებით დასაწყობება.

ცხრილში მოტანილია სიმინდის ერთი ჰექტარი ნათესის მოვლა-მოყვანის ხარჯები.

ცხრილი 3

ერთი ჰექტარი სიმინდის ნათესის მოვლა-მოყვანის ხარჯთაღრიცხვა ლარ-ებში

#	სამუშაოს დასახელება	შრომის ანაზღაურება და მასალების ფასი							ჯამი
		დღისწელი ტრისტრ	ჭავა	საკვაზი	სასუნი	პრინტი-დი	ფსერი	ჭავა	
1	ნაკვეთის განმენდა	8		21					29
2	ნაწვერალის აჩერვა	10		31.5					41.5
3	დიამონტოსკეის მობნევა	6	6	8.4	300				320.4
4	ნიაღაგის მოხვნა	12		63					75
5	ხნულის კულტივაცია -დაფარულება 2-ჟერ	16		42					58
6	სასუქეს (N) შეტანა	6	6	8.4	120				140.4
7	მასიური მოსპობის ჰერბიციდის შეტანა	10	6	29.4		100			145.4
8	თესვა	10	6	16.8			100		152.8
9	ჰერბიციდი 2.4 D + ტიტუსი	10	6	8.4		115			139.4
10	ნათესის რიგთაშორის კულტივაცია 2-ჟერ	16		42					58
11	სარწყავი კვლების დაჭრა	10		12.6					22.6
12	სავეგეტაცია მორნევა 2-ჟერ		150				150		300
13	მოსაფლის აღება		375						375
14	მოსაფლის ტრანსპორტირება	10		25,2					35.2
15	მოსაფლის გადარჩევა, დაბინავება		150						150
									2042.7

უფრო ვრცელი განმარტებებისა და კონსულტაციებისათვის მოცემულ თემაზე
შეგიძლიათ

მიმართოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს!

0159, საქართველო თბილისი,

მარშალ გელოვანის გამზ. №6

ავტორები: ცოტნე სამადაშვილი, ოთარ ლიბარტელიანი, ლიანა
ქირიკაშვილი, ფილარეტ ბეგოიძე



სოფლის მდგრეობის
სამინისტრო-კვლევითი ცენტრი
www.srca.gov.ge